


# პროკურატურა - ფარცხადაძისა და თორდიას საქმის რეალური მიზეზი ყოფილი ნიადაგია



პროკურორის ემზარ გაგნიძეს განცხადებით, ოთარ ფარცხადაძის საქმეზე გამოძიება დადგენილ ვადაში ჩატარდა. როგორც ემზარ გაგნიძემ აღნიშნა, საქართველოს ყოფილ

გენერალურ პროკურორს ოთარ ფარცხადაძეს და მიხეილ ჩოხედს წარედგინათ ბრალდებები სსსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ცემას გულისხმობს.

მისივე თქმით, საქმე შეეხება 2017 წლის 13 მაისს ლამის კვლავ „ედ ცენტროში“ მომხდარ ინციდენტს, რა დროსაც ოთარ ფარცხადაძემ და მიხეილ ჩოხედმა სცემეს დაშა თორდია.

*„ჩატარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნული ცემის შედეგად დაშა თორდიამ მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, პროკურატურის მიერ თორდია ცნობილი იქნა დაზარალებულად. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებული ქმედება განეკუთვნება დანაშაულის ნაკრებად მძიმე კატეგორიას, ოთარ ფარცხადაძესა და მიხეილ ჩოხედს აღკვეთის ღონისძიების სახით განესაზღვრათ 5000-5000 დარის გირაო, ხსენებულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩანიშნულია 2018 წლის 20 დეკემბერს“, – განაცხადა პროკურორმა.*

რადგან საქმეში ფიგურირებდნენ ყოფილი მთავარი პროკურორი და აუდიტის სამსახურის უფროსი, ასევე არსებობდა განსაკუთრებული

საზოგადოებრივი ინტერესი, პროკურატურამ საქმის გამოძიებაში ექსპერტებად მოიწვია საერთაშორისო ჯგუფის წევრები.

*„საქმის გარშემო ტარდებოდა ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება, რომელიც საჭირო იყო ბრადის წარდგენისათვის. ფაქტიდან წერიწადნახევარიც არ არის გასული, შესაბამისად, გამოძიება ჩატარდა დადგენილ ვადაში და ყველა საჭირო მტკიცებულების მოგროვების შემდგომ, მივმართეთ სასამართლოს ბრადის წარდგენის თაობაზე“, – აღნიშნა ემზარ გაგნიძემ.*

პროკურორის განმარტებით, კანონმდებლობა მოითხოვს, რომ არსებობდეს ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ნებისმიერ ობიექტურ პირს აფიქრებინებს, რომ დანაშაული ჩადენილია ამ კონკრეტული პირების შესაძლო დამნაშავეების მხრიდან.

*„პროკურატურამ ჩაატარა ყველა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება. ამ საქმის რეალური მიზეზი არის ყოფითი ინციდენტი. ეს არის ყოფით ნიადაგზე წარმოშობილი ინციდენტი. ერთმნიშვნელოვნად გვინდა განვაცხადოთ, რომ პროკურატურა მიმდინარე, პოლიტიკური პროცესებისგან არის დეპოლიტიზირებული. ჩვენ აღნიშნულ საქმეს ვიძიებთ მხოლოდ სისხლის სამართლის ჩარჩოებში. რაც შეეხება ვერსიას, რომელიც დაზარალებული საუბრობდა თითქოსდა, აუდიტის დასკვნა გახდა მიზეზი, ამ საკითხთან მიმართებითაც პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება, დასკვნით ფაბაშია გადასული და ამ საქმეში ჩართული არიან საერთაშორისო ექსპერტები რომლებიც ჩვენი ინფორმაციით უახლოეს პერიოდში დადებენ დასკვნას და გახდება ცნობილი“, – განაცხადა პროკურორმა.*